*დანართი N 1*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი**

შეფასების თარიღები: 26 და 27 იანვარი, 2023 წელი

დასკვნის  წარდგენის თარიღი: 14 მარტი, 2023 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ––––––––––––––––
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ––––––––––––––––

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ––––––––––––––––

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 241499703 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ყაზბეგი |
| იურიდიული მისამართი | დაბა სტეფანწმინდა, ტაბიძის ქ. 40 |
| ფაქტობრივი მისამართი | დაბა სტეფანწმინდა, თბილისის ქ. 14ა |
| საფოსტო ინდექსი | 4700 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | ssgimnazia.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | xeviseparqia@gmail.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **0245252608** |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | **გოჩა ტაბატაძე (მეუფე იეგუდიელი)** |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **599737011** |
| ელ-ფოსტა | **xeviseparqia@gmail.com** |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 21 დეკემბრის MES 3 22 0001633605 ბრძანება. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 26 და 27 იანვარი, 2023 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბაკანკალაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ჭიაბერაშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

**ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი**

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☐ | ☒ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 ავვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☐ | ☒ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ––––––––––––––––
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ––––––––––––––––

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ––––––––––––––––

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ………….. |
| | *1.2.* | …………… |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.7* | **სკოლის შინაგანაწესი და დებულება საჭიროებს ცვლილებას - არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.** |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.2.* | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, განხორციელდეს პირველი სემესტრის სასწავლო პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის შეჯამება-შესწავლა და ანგარიშებში წარმოდგენილი იქნეს სასკოლო-სასწავლო გეგმის უზრუნველყოფის ფარგლებში სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინტერვენციები. |
| | *1.6.* | დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და სამოქმედო გეგმა. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| | *2.5* | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მუდმივად განაახლოს ინფორმაცია დაწესებულების ვებგვერდზე. |
| *ქვესტანდარტი* | *2.6* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ––––––––––––––––
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ––––––––––––––––

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ––––––––––––––––

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განაახლოს "წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი" და თანხვედრაში მოიყვანოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამის "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებთან", რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ შემუშავდა და გადაიგზავნა სამინისტროსთან შესათანხმებლად, ადგილობრივი რესურსცენტრის შუამდგომლობით.** |
| | *ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა* | **პანსიონის გაუქმებისა და მესამე სართულზე საკლასო ოთახების მოწყობის გამო, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საევაკუაციო გეგმების განახლების შესახებ.** |
| | *გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განაახლოს "სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი" და თანხვედრაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ასევე, შეიძინოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული სამედიცინო ინვენტარი.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *ე)ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გააძლიეროს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა და დაამატოს კამერები სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიზიტის განმავლობაში შემუშავებული “უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების” შესაბამისად.** |
| | *2.9* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბრძანებების რეგისტრაცია განახორციელოს საქმისწარმოების წესის მიხედვით; გამოცემული ბრძანებები ამობეჭდოს სკოლის სატიტულო ფურცელზე, შესაბამისი რეკვიზიტების დაცვით.** |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.2.* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოსთხოვს მასწვლებლებსა და თანამშრომლებს, დროულად წარმოადგინონ ნასამართლეობისა და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის ცნობები. ვიზიტის განმავლობაში, დაწესებულების პედაგოგებისა და თანამშრომლების ნაწილმა მიმართა შესაბამის უწყებას აღნიშნული ცნობების მისაღებად. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცნობების წარდგენა განხორციელდება ყველა პედაგოგისა და თანამშრომლის მიერ, უახლოეს მომავალში.** |
| | *3.3* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლების შერჩევისა და სამსახურში მიღების წესი შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლაში არსებულ პრაქტიკასთან.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ––––––––––––––––
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ––––––––––––––––

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ––––––––––––––––

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *3.4.* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შრომით ხელშეკრულებებში დააფიქსიროს თანამდებობრივი სარგო.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ––––––––––––––––

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ––––––––––––––––

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ––––––––––––––––

ბ.ა.

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | დაწესებულება ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საგანამანთლებლო პროცესს, დამატებით სავალდებულო / არჩევით მომსახურებას, გახანგრძლივებულ სერვისს და სატრანსპორტო მომსახურებას მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთათვის სრულიად უფასოდ, გადასახადის გარეშე.<br><br>დაწესებულებას აქვს თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურა - კეთილმოწყობილი შიდა დარბაზი და გარე სტადიონი.<br><br>სკოლაში დამატებითი მომსახურების სახით ფუნქციონირებს ფერწერისა და ძერწვის წრე შესაბამისად აღჭურვილი სახელოვნებო კაბინეტით.<br><br>გიმნაზიას აქვს საკუთარი გაზეთი, რომელიც გამოიცემა პერიოდულად, თვეში ერთხელ. გაზეთი არის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის და შეიცავს გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრებს: ნახატებს, თხზულებებს და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ამსახველ მასალას.<br><br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიმნაზიას საკმაოდ რთულ პირობებში უწევს საქმიანობის განხორციელება რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. მკაცრი კლიმატური პირობები, დედაქალაქისგან და სხვა რაიონული ცენტრებისგან იზოლირება (განსაკუთრებით ზამთრისა და დიდთოვლობის პერიოდში) ხშირად აფერხებს დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანი სერვისების მიღებას (მაგალითად, ხარისხიანი ინტერნეტის მიწოდება, საკაბელო გაყვანილობის შეკეთება, ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემის შემოწმება/შეკეთება და სხვ.). მიუხედავად ამისა, დაწესებულების დირექტორსა და წარმომადგენლებს აქვთ მუდმივი მცდელობა, გიმნაზიის აღსაზრდელებს შეუქმნან ხარისხიანი განათლებისა და ჯანსაღი განვითარებისათვის შესაფერისი გარემო, რაც დასტურდება მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი ემსახურება ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად განვითარებული თაობის აღზრდას. რაც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვასა და განხორციელებას სწავლების სამივე საფეხურზე. თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენას და მათი სულიერი და გონებრივი მონაცემების განვითარებას, ეროვნული და მსოფლიო კულტურულ–ისტორიული ფასეულობების გაცნობას, მოტივირებულ, ინფორმირებულ, კანონმორჩილ და ტოლერანტულ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, მოსწავლეთა მიღწევების პრიორიტეტად დასახვას და ამ მიზნით ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მოზიდვას. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | **ექსპერტი ეთანხმება** | **აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ☒ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| მოსწავლეთა რაოდენობა: 250 | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |
|---|---|---|

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის სასკოლო სასწავლო გეგემა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასკოლო სასწავლო გეგმას დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო;<br><br>გიმნაზიის სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:<br><br>ა) სასკოლო საათობრივი ბადე;<br>ბ) ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;<br>გ) სადამრიგებლო პროგრამა;<br>დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;<br>ე) სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;<br>ვ) შეფასების პრინციპები;<br>ზ) საგნობრივი კათედრები;<br>თ)სადამრიგებლო მუშაობა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გიმნაზია-პანსიონში 2022-2023 სასწავლო წელს სწავლის ხანგრძლივობა მოიცავს:<br>● II – XI კლასებისთვის 35 კვირას;<br>● I კლასებისთვის 33 კვირას;<br>● XII კლასებისათვის 32 კვირას.<br>პირველკლასელთათვის გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 35 წუთით; ყველა დანარჩენ კლასში - 45 წუთით. საგაკვეთილო განრიგში წარმოდგენილია 5 წუთიანი და ერთი ათწუთიანი დასვენება. გიმნაზიის საათობრივ ბადეში **წარმოდგენილია ესგ-თი გაუთავლისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურეობის** ფარგლებში შემდეგი საგნები:<br><br>საღვთო სჯული - I-XII კლასებში, კვირაში 2 საათი<br>ძველი დამწერლობა - V-VI-VII კლასებში, კვირაში 1 საათი.<br><br>**სკოლაში დამატებითი მომსახურების სახით ფუნქციონირებს ფერწერისა და ძერწვის წრე შესაბამისად აღჭურვილი სახელოვნებო კაბინეტით.**<br><br>**გიმნაზიას აქვს საკუთარი გაზეთი,** რომელიც გამოიცემა პერიოდულად, თვეში ერთხელ. გაზეთი არის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის და შეიცავს გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრებს: ნახატებს, თხზულებებს და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ამსახველ მასალას.<br><br>საშუალო საფეხურზე **არჩევითი საგნების** ბლოკიდან წარმოდგენილია შემდეგი საგნები:<br>● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - X კლასი<br>● ფოლკლორული ანსამბლი - XI კლასი<br>● სახელმწიფო და სამართალი - XII კლასი<br><br>გიმნაზიაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა:<br>● დაწყებითი საფეხურის კათედრა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;<br>• საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა;<br>• უცხო ენების კათედრა;<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;<br>• მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა კათედრა;<br>• ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.<br><br>კათედრის ფუნქციებსა და სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი საქმინობის ორიენტირები:<br><br>❖ საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია;<br>❖ საგნობრივი თემატური გეგმების შედგენისას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;<br>❖ გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევა;<br>❖ პროფესიული განვითარებისათვის (მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა.<br>❖ სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და ადმინისტრაციისათვის წარდგენა.<br>❖ რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;<br>❖ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;<br>❖ პროფესიული განვითარებისათვის სათანადო გზების დასახვა;<br>❖ კათედრის წევრებიდან ერთი სასწავლო წლის ვადით კათედრის თავმჯდომარის არჩევა.<br><br>გიმნაზიის სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობები და ის პრიორიტეტული მიმართულებები, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. რეგულარულად (თვეში ოთხჯერ- I-IX კლასის ჩათვლით და თვეში ორჯერ X-XII კლასებისთვის ) განსაზღვრულია „კლასის საათის" ჩატარება. „კლასის საათის" მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:<br><br>❖ პიროვნული და მორალური განვითარება - მე - პიროვნება;<br><br>❖ გარემოს დაცვითი კულტურის განვითარება - გარემოს მნიშვნელობის გაცნობა, გარემოს დაბუნების მოფრთხილება;<br><br>❖ მეწარმეობის უნარების განვითარება - ასაკის შესაბამისი ბიზნეს უნარების განვითარება;<br><br>❖ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და გააზრებაში;<br><br>❖ გააცნოს მოსწავლეს პროფესიათა სამყარო ცალკეული პროფესიის თავისებურებები და ის მოთხოვნები, რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს;<br><br>❖ გააცნოს კონკრეტული პროფესიით დასაქმების შესაძლებლობები;<br><br>❖ დასაბუთებული რეკომენდაციის საშუალებით დაეხმაროს მოსწავლეს პროფესიის სწორად არჩევაში;<br><br>❖ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია<br><br>❖ უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;<br><br>❖ მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;<br><br>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ემსახურება სკოლაში მისიით განსაზღვრული ფასეულობების დამკვიდრებას, რაც დასტურდება სკოლის დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების თემატიკით, სადამრიგებლო პროგრამით და განხორციელებული თუ დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და დანართები;<br>2. კათედრების საქაღალდეები;<br>3. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>4. მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. აღნიშნული ნათლად დასტურდება მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით, ასევე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლით.<br><br>სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. გიმნაზიას ჰყავს ფსიქოლოგი, რომლის სამუშაო გეგმა მიზნად ისახავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური სიჯანსაღის ხელშეწყობას და მდგრადი საგანმანათლებლო პროცესების უზრუნველყოფას. გიმნაზიის სპეციფიკისა და მისიის გათვალისწინებით, საათობრივი ბადე მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას, რომლებზე დასწრებაც აუცილებელია კონკრეტული კლასის ყველა მოსწავლისათვის, კერძოდ, საღვთო სჯული - კვირაში 2 საათი I-XII |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კლასებში, ძველი დამწერლობაV-VI-VII კლასებში, კვირაში ერთი საათი. ამ საგნების სწავლების მიზნებია: ახალგაზრდებმა გააცნობიერონ ზოგადად რელიგიებისა და კერძოდ, ქრისტიანობის წარმოშობისა და განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები; აღნიშნული საგნებისათვის გიმნაზიამ წარმოადგინა საგნობრივი პროგრამა, რომელშიც კლასების მიხედვით გათვალისწინებულია შესასწავლი თემატიკა კონკრეტული სახელმძღვანელოების მითითებით. სახელმძღვანელოთა ძირითადი ნაწილი ეკუთვნის საპატრიარქოს გამომცემლობას.<br><br>გიმნაზიაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. მოწოდებულ დოკუმენტაციაში თემატურ-კალენდარულ გეგმებთან ერთად, ვხვდებით მატრიცებს, სადაც წარმოდგენილია თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური დავალებების ნიმუშები. სასკოლო კურიკულუმის შესწავლისას გამოიკვეთა ცალკეულ საგნებში განსაკუთრებული მზაობით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები (ქართული, ინგლისური, გეოგრაფია, ბიოლოგია), თუმცა ზოგიერთი საგნის ფარგლებში არის საჭიროება მეტი მხარდამჭერი პროცესებისა, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან გასაუბრებისას. გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გემის მიხედვით კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების შესრულება, როგორც შემაჯამებელი სტატუსის დავალება, აუცილებლობას წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთ საგანში აღნიშნული დავალებების შესრულება იგეგმება მეორე სემესტრის განმავლობაში.<br><br>სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში აქტიურად მიმდინარეობს სპორტული აქტივობები: მხიარული სტარტები, საფეხბურთო ტურნირები და სხვა.<br><br>როგორც ზევით აღვნიშნეთ, გიმნაზიაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა:<br>● დაწყებითი საფეხურის კათედრა;<br>● ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;<br>● საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ● უცხო ენების კათედრა;<br>● საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;<br>● მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა კათედრა;<br>● ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.<br>ყველა კათედრას აქვს პორტფოლიო, სადაც თავმოყრილია კათედრის დებულება, სამუშაო გეგმა, კათედრის წევრი მასწავლებლების დემოგრაფიული მონაცემები,კომპლექსური კონტექსტის მქონე შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, მათ შორის მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, შემაჯამებელი დავალების ანალიზები, შეფასების რუბრიკები. კათედრის მიერ, სამუშაო გეგმით განსაზღვრული სხდომების ოქმები. ვიზიტის პერიოდში გიმნაზიაში სკოლამ ვერ წარმოადგინა პირველი სემესტრის კათედრის ანგარიშები, ასევე ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შესრულებული ანგარიში. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, განხორციელდეს პირველი სემესტრის სასწავლო პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის შეჯამება-შესწავლა და ანგარიშებში წარმოდგენილი იქნეს სასკოლო-სასწავლო გეგმის უზრუნველყოფის ფარგლებში სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინტერვენციები.**<br><br>გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლით, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და კათედრების საქაღალდეების გაცნობით დასტურდება, რომ გიმნაზია სამივე საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნის შეძენისა და უნარების განვითარების შესაძლებლობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. კათედრების საქაღალდეები;<br>3. მასწავლებლების პროტფოლიოები;<br>4. მოსავლეთა ნამუშევრები;<br>5. საგნამანთლებლო პროექტების დოკუმენტაცია;<br>6. მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>7. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 8. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.<br><br>ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასკოლო-სასწავლო გეგმით. კერძოდ, დოკუმენტი აღწერს იმ მექანიზმებს, რომელსაც სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეების იდენტიფიცირებისა და სწავლებისთვის. სასკოლო-სასწავლო გეგმა ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს - შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა მასწავლებლებთან, სკოლის ფსიქოლოგთან და დირექციასთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დაცვით, მართონ პროცესები სსსმ მოსწავლეთა სასწავლო პროცესებში ჩასართავად.<br><br>მშობლებთან გასაუბრებისას სკოლის ძლიერ მხარედ დასახელდა თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა და საგანმანათლებლო პროცესი. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა თითოეულ მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. მოსწავლეთა ნამუშევრები;<br>3. მოსწავლეებთან გასაუბრება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 4. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილ შეფასების სტრატეგიაში მკაფიოდ იკვეთება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში აქცენტირებული კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე ფოკუსირება. კერძოდ, სსგ-ს შეფასების სტრატეგიაში იკითხება:<br><br>● მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს, აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;<br>● ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;<br>● გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;<br>● მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;<br>● აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.<br><br>ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის შეფასების სისტემაში დაკონკრეტებულია მოსწავლის შეფასების კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი, შემაჯამებელი დავალებების განხორციელებისა და აღდგენის ვადები.<br><br>სკოლაში მოქმედებს ხუთდონიანი და ათქულიანი შეფასების სისტემა. კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერი 5,0 ქულაა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო და ექსტერნატის ფორმის გამოცდები.<br><br>ვიზიტის პერიოდში სასკოლო სასწავლო გეგმაში, ნიშნების გამოანგარიშების წესში, იკითხებოდა შეფასების აწ უკვე გაუქმებული სახეობა: საერთო წლიური ქულა და კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. დირექციის განმარტებით აღნიშნული უზუსტობა წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და შესაბამისად, ადგილზევე მოხდა მისი გამოსწორება.<br><br>მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათთვის წინასწარ ცნობილია შეფასების კრიტერიუმები.<br><br>გიმნაზიის შეფასების სისტემა სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების მიდგომებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. კათედრების საქაღალდეები;<br>3. მოსწავლეთა ნამუშევრები;<br>4. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>5. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დირექციის მშობელთან ურთიერთობის წესი, რომელიც შემუშავებულია პედსაბჭოს ჩართულობით. წესის მიხედვით, მშობლებთან ურთიერთობა წესრიგდება შემდეგი მეთოდის გამოყენებით: წერილობით ან წინასწარ დანიშნული შეხვედრის მეშვეობით, ან წინასწარ შეთანხმებით. მშობელი ვალდებულია წინასწარ შეუთანხმდეს გიმნაზიის ადმინისტრაციას მისთვის სასურველი შეხვედრის დანიშვნის შესახებ; სასწავლო პროცესში არსებული მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციას მშობელი იღებს ადმინისტრაციის შეტყობინებით; ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა საშუალებებით: (სატელეფონო საშუალებით; სქულბუქით; ელექტრონული ფოსტით; ინფორმაციის მიღების სხვა საშუალებებით.)<br><br>მშობელთა ინფორმირების პროცესში აქტიურ როლს ასრულებს კლასის დამრიგებელი, რომელიც საჭიროებისამებრ ახორციელებს მშობლებთან სატელეფონო გასაუბრებას. კლასის დამრიგებელი გიმნაზიის პედაგოგებთან ერთად სემესტრში ორჯერ გეგმავს მშობელთა გაერთიანებულ კრებას, სადაც მშობლები (ინდივიდუალურად საჭიროების შემთხვევაში) ხვდებიან საგნის პედაგოგებს.<br><br>შესწავლილი დოკუმენტაციითა და მშობლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ გიმნაზიაში თითოეული მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. ელ.ჟურნალი Schoolbook;<br>3. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>4. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულების სასკოლო სასწავლი გეგმა აღწერს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, ჯამდება მოსწავლეთა შედეგები, ანალიზდება რა გაკეთდა, როგორ და რა ხარისხით. წლის ბოლოს ჯამდება შედეგები, იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის გასათვალისწინებელ ცვლილებები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე წარმოდგენილია შიდასასკოლო მონიტორინგის პრინციპები. გიმნაზიაში ადმინისტრაციის კონტროლის პროცესი მიმდინარეობს სამი მიმართულებით:<br><br>**მონიტორინგი** - წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების პროცესს, სიტუაციის მუდმივ მეთვალყურეობას, ანალიზს. **შეფასება** - მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი; **შემოწმება** - მასწავლებელთა და მოსწავლეთა შედეგების განხილვა სასწავლო წლის განმავლობაში. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი; აღნიშნული ჯგუფი აწარმოებს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და ზრუნავს მის გაუმჯობესებაზე, თუმცა აღნიშნულს ადასტურებს მხოლოდ ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის ბრძანება. დაწესებულებას არ წარმოუდგენია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და სამოქმედო გეგმა. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია შეიმუშაოს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და სამოქმედო გეგმა.** გარდა ამისა, სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც SWOT ანალიზთან ერთად შეიცავს მრავალფეროვან კითხვარებს მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას არ ჩაუტარებია სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა. შესაბამისად მიეცათ **რჩევა, არსებული კითხვარების გამოყენებით** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **ჩატარდეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა მეორე სემესტრის განმავლობაში და მოხდეს მონაცემების დეტალური ანალიზი.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. სასკოლო სასწავლო გეგმა<br>2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;<br>3. ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი<br>4. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | **ქვესტანდარტი 1.6:**<br><br>**არსებული კითხვარების გამოყენებით ჩატარდეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა მეორე სემესტრის განმავლობაში და მოხდეს მონაცემების დეტალური ანალიზი.**<br>. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზია მდებარეობს დაბა სტეფანწმინდაში, მისამართზე: თბილისის ქუჩა N 14ა.<br><br>2023 წლის 20 იანვრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ გიმნაზიის მიწის ნაკვეთისა (10006 კვმ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრე არის სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე - “სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია”, არსებობის ვადით. ამავე ამონაწერით დასტურდება, რომ რეესტრში დარეგისტრირებულია უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულება (დამოწმების თარიღი 21/04/2017), რომელის მიხედვითაც უზურფრუქტუარს - ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონს - უზურფრუქტით გადაეცემა აღნიშნული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, 25 წლის ვადით.<br><br>გიმნაზიის მფლობელობაშია კეთილმოწყობილი სამსართულიანი შენობა და ვრცელი, შემოსაზღვრული ეზო. დაწესებულება ფლობს სპორტულ დარბაზს და გარე სტადიონს. გიმნაზიის მეორე და მესამე სართულებზე განლაგებულია საკლასო და ადმინისტრაციული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ოთახები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია, ფსიქოლოგის ოთახი, ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტები. გიმნაზიის პირველ სართულზე განთავსებულია სამეცადინო ოთახები, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, უსაფრთხოების მენეჯერების ოთახი, ფერწერის კაბინეტი და სატრაპეზო.<br><br>აღნიშნულ შენობაში 2018 წლადმე ფუნქციონირებდა სადღეღამისო პანსიონი. პანსიონით სარგებლობდენ მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებსაც ზამთრის პერიოდში განსაკუთრებულად უჭირდათ სკოლაში ყოველდღიური გადაადგილება.<br><br>პანსიონის გაუქმების შემდგომ (რომელიც მოწყობილი იყო დაწესებულების მესამე სართულზე), აღნიშნულ სართულზე მოეწყო დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები. პანსიონის ავეჯი და ნივთები დასაწყობებულია შენობის რამდენიმე ჩაკეტილ ოთახში. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა, თბილისის ქ. 14ა |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 74.01.13.153 |
| *კვ.მ.* | მიწის ნაკვეთი - 10006 კვ.მ;<br>შენობა-ნაგებობა N1 და N2 - 3453,84 კვ.მ (ტექნიკური პასპორტის მიხედვით); |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტი;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების მეორე და მესამე სართულებზე განლაგებულია საკლასო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის შესაბამისი ინვენტარით: მოსწავლეთა ინდივდუალურ საჭიროებებს მორგებული სკამებითა და მერხებით, დაფებით (როგორც ცარცის, ასევე მარკერის), მასწავლებლის მაგიდებითა და კარადებით.<br><br>განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახების აღჭურვილობა და დიზაინი. ამ საფეხურის ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია ტელევიზორის მონიტორი, ინვენტარი მარავლფეროვანი აქტივობების განსახორციელებლად, მოწყობილია მოსწავლეთა მოსასვენებლი სივრცეები რბილი ავეჯითა და პუფებით.<br><br>**ამჟამად დაწესებულებაში ფუნქციონირებს 12 კლასი, თუმცა სკოლის შენობაში არის საკლასო ოთახების რეზერვი. სულ 16 საკლასო ოთახი.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შიდა აზომვითი ნახაზი;<br>2. ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. საინვენტარო წიგნი;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიის შენობაში განთავსებულია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია საშხაპეებით, მაყურებლებისათვის განკუთვნილი იარუსით, მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით. კერძოდ, 4 ტრენაჟორით (მათ შორის ველოტრენაჟორით და სარბენი ბილიკით), განტელებით, გასაძრომი ტომრებით, ტურნიკებით, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფრენბურთისა და კალათბურთის ბურთებით, ბადეებით, ჭადრაკის მოწყობილობებით და სხვ.<br><br>დაწესებულების ეზოში მოწყობილია ღია სტადიონი. დამატებით, იგეგმება ჩოგბურთის კორტებისა და კალათბურთის მოედნის მშენებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. საინვენტარო წიგნი;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან და ბუღალტერთან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში ფუნქციონირებს ფიზიკის კაბინეტი და ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი, თავისი საცავით. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში, შესაბამის კარადებში, განთავსებულია სადემონსტრაციო მოდელები და მულაჟები. საცავში კი ინახება ექსპერიმენტისათვის საჭირო მინის ჭურჭელი და ინვენტარი. საცავში ასევე განთავსებულია ონკანი და საშხაპე. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტსაც და საცავსაც აქვთ ბუნებრივი განიავების საშუალება.<br><br>დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი, რომელიც ბიბლიოთეკის/სამკითხველო სივრცის გვერდით მდებარეობს. კომპიუტერული კლასში განთავსებულია 10 პერსონალური კომპიუტერი გამართულ მდგომარეობაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. კომპანია ინსტა ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შეძენასთან დაკავშირებით;<br>2. კოპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. მიღება-ჩაბარების აქტები;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან და ბუღალტერთან გასაუბრება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 5. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია, სასმელი წყალი და ბუნებრივი აირი ცენტრალური გათბობის უზრუნველსაყოფად. საქვაბე დამონტაჟებულია სკოლის შენობის გარეთ, ეზოს ტერიტორიაზე. სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ საკლასო ოთახებსა და კაბინეტებში, სპორტული დარბაზსა და სხვა დამხმარე ოთახებში არის ფანჯრები და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.<br><br>დაწესებულების სამივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, რომლებიც აღჭურვილია ტიხრებითა და კაბინებით.<br><br>პირველი სართულის სველ წერტილებში ვიზიტის პერიოდისთვის ახალი დასრულებული იყო სარემონტო პროცესი, რომლის შედეგადაც განხორციელდა კაბინების ძველი კარების დემონტაჟი.<br><br>**დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პირველ სართულზე სველი წერტილების კარებით აღჭურვის დასრულება იგეგმებოდა უახლოეს მომავალში.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. დაწესებულების წარმომადგენლებთან და ბუღალტერთან გასაუბრება;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულების მესამე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელშიც თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება და ქცევის წესები.<br><br>დაწესებულების მფლობელობაშია 4800-მდე ერთეულისაგან შემდგარი წიგნადი ფონდი, მათ შორის სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.<br><br>სკოლას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემა „ახალი განათლება“. ბიბლიოთეკაში ასევე ინახება სკოლის მიერ წლების მანძილზე გამოცემული გაზეთი: “ჩემი გიმნაზია”.<br><br>დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, მიმდინარეობს წიგნადი ფონდის აღრიცხვა როგორც ბეჭდურ საინვენტარო წიგნში, ასევე ელექტრონულად, ექსელის ფაილში. წიგნები დამუშავებული და ბეჭედდასმულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, შექმნილია ანბანური და სისტემური კატალოგები, მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. მიღება-ჩაბარების აქტები;<br>3. ბიბლიოთეკართან და ბუღალტერთან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო მოწავლეებისათვის ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლის მთავარ შესასვლელში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დასხმულია მყარი კონსტრუქციის, მიზანშეწონილი დახრილობის მქონე პანდუსი.<br><br>შენობის სართულებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის გადაადგილების ხელშესაწყობად, დაწესებულება ფლობს ხის მოძრავ პანდუსებს.<br><br>სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც მდებარეობს პირველ სართულზე განთავსებულ ერთ-ერთ დამხმარე ოთახში. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ოთახი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დანიშნულების იყო. 2017 წლის საავტორიაზციო პერიოდში, ოთახი მოწყობილი იყო როგორც სსსმ ოთახი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ოთახს საცხოვრებელ ფართად იყენებდა ეტლით მოსარგებლე მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ სკოლას არასდროს არ ჰყოლია გადაადგილების შეზღუდვის მქონე მოსწავლე.<br><br>**ამჟამად ოთახში, სადაც მდებარეობს ადაპტირებული საპირფარეშო, განთავსებულია პანსიონის საცხოვრებელი ავეჯი (პანისიონი 2018 წლიდან აღარ ფუნქციონირებს). თუმცა, სველ წერტილამდე მისასვლელი გზა თავისუფალია. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას მიეცა რჩევა, მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი უფრო მარტივად მიღწევად გარემოში, ან უზრუნველყოს ალტერნატიული მისასვლელი აღნიშნულ საპირფარეშოსთან.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.<br><br>დაწესებულების მფლობელობაშია: პერსონალური კომპიუტერი - 15; ლეპტოპი - 10; პრინტერი - 2; კომბაინი (პრინტერი/ქსეროქსი) - 2; ტელვიზორის ეკრანი - 10; პროექტორის ეკრანი - 2; პროექტორი - 2.<br><br>დაწესებულება აღჭურვილია მუდმივი ინტერნეტის ქსელით, **თუმცა მაღალმთიანი რეგიონის მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ინტერნეტს აქვს პერიოდული შეზღუდვები.** ვიზიტის განმავლობაში, დაწესებულებას ნაწილობრივი ხარვეზით მიეწოდებოდა ინტერნეტი, ვინაიდან ძლიერმა ქარმა დააზიანა გარე საკაბელო გაყვანილობა. **დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ რეგიონის მდებარეობის გამო, სხვადასხვა სახის მომსახურება არ არის დროულად ხელმისაწვდომი, რადგან სპეციალისტებს, უმეტეს შემთხვევაში, დედაქალაქიდან ან სხვა რაიონებიდან უწევთ ყაზბეგში ჩასვლა.**<br><br>დაწესებულება სარგებლობს ვებგვერდით: ssgimnazia.ge და სოციალური ქსელით: "სტეფანწმინდის გიმნაზია" - https://www.facebook.com/profile.php?id=100005342079274<br><br>დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ვიზიტის პერიოდისთვის რამდენადმე მოძველებული იყო. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ადმინიტრაცია ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის მიზნით, ბევრად აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის გვერდს, რაც დასტურდება სოციალური ქსელის გვერდის შესწავლით.<br><br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მუდმივად განაახლოს ინფორმაცია დაწესებულების ვებგვერდზე.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. კომპანია სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _______________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _______________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. მიღება-ჩაბარების აქტები;<br>4. საინვენტარო წიგნი;<br>5. ბიბლიოთეკართან და ბუღალტერთან გასაუბრება;<br>6. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას 2015 წელს შემუშავებული აქვს “წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი”, რომელიც განსაზღვრავს გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ ღონისძიებებს და შეიმუშავებს ამისთვის საჭირო წესებს.<br><br>დაწესებულებაში, თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული სახანძრო სტენდი; ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია სათანადო წესით დამუხტული ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განაახლოს “წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი" და თანხვედრაში მოიყვანოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/6 ბრძანების შესაბამის "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებთან", რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ შემუშავდა და გადაიგზავნა სამინისტროსთან შესათანხმებლად, ადგილობრივი რესურსცენტრის შუამდგომლობით.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი;<br>2. ცეცხლმაქრების ფლობისა და დამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. გიმნაზიის "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები" - პროექტი;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების სამივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. **პანსიონის გაუქმებისა და მესამე სართულზე საკლასო ოთახების მოწყობის გამო, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საევაკუაციო გეგმების განახლების შესახებ.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საევაკუაციო გეგმები;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიაში 2016 წელს დამტკიცებულია "სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები", რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს გიმნაზია-პანსიონში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა და თანამშრომელთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესებსა და პროცედურებს.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სამედიცინო ტახტით/საკაცით, კარადით, სამედიცინო ინვენტარითა და მედიკამენტებით. თუმცა კაბინეტის აღჭურვილობა არ არის სრულად შესაბამისობაში 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ წესთან.<br><br>სკოლაში დასაქმებულია No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე გამოცდილი ექიმი, რომელიც აწარმოებს სამედიცინო შემთხვევებისა და მედიკამენტების აღრიცხვის ფორმებს. სკოლაში ასევე დასაქმებულია ექთანი.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განაახლოს "სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი" და თანხვედრაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ასევე, შეიძინოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული სამედიცინო ინვენტარი.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ექიმთან და ექთანთან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **ავტორიზაციის ვიზიტამდე გიმნაზიას არ ჰქონდა შემუშავებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი "უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები", რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ შემუშავდა და გადაიგზავნა სამინისტროსთან შესათანხმებლად, ადგილობრივი რესურსცენტრის შუამდგომლობით.**<br><br>დაწესებულებაში იგრძნობა დაცული გარემო. სკოლას ჰყავს ორი უსაფრთხოების მენეჯერი და დარაჯი. უსაფრთხოების მენეჯერებისათვის გამოყოფილია სპეციალური ოთახი შენობის შესასვლელში, შესაბამისად, მიმდინარეობს შენობაში შემომსვლელ და გამსვლელ პირთა მუდმივი კონტროლი. ამავე ოთახში ასევე განთავსებულია ვიდეო-დაკვირვების სისტემა და კადრების ამსახველი მონიტორი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. გიმნაზიის "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები" - პროექტი;<br>2. გიმნაზიის 27.01.2023 წლის N 23-1214 წერილი ყაზბეგის რესურსცენტრის უფროსს "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შეთანხმების შესახებ;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებაში, შიდა პერიმეტრზე განთავსებულია 16, ხოლო გარე პერიმეტრს აკონტროლებს 6 ვიდეოკამერა, მათ შორის ორი კამერა, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გააძლიეროს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა და დაამატოს კამერები სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიზიტის განმავლობაში შემუშავებული "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 1. კამერებისა და მონიტორის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს სკოლის შინაგანაწესი (2012 წ.) და დებულება (2017 წ.). ორივე დოკუმენტი საჭიროებს განახლებას არსებით საკითხებთან მიმართებაში. მათი შესწავლისას ასევე დგინდება, რომ არ არის ნათლად გამიჯნული თუ რომელ სფეროს არეგულირებს შინაგანაწესი და რომელს - მართვის დებულება. რიგ შემთხვევებში, იკვეთება საკითხების გადაფარვა.<br><br>**გიმნაზიის შინაგანაწესში არ არის ასახული, ან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოა ისეთი საკითხები, როგორებიცაა:**<br>● 06/ნ ბრძანების შესაბამისი „უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" დარღვევისათვის შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები, დარღვევის შედეგების სიმძიმის გათვალისწინებით - **არ არის ასახული;**<br>● მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები - **არ არის ასახული, თუმცა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, მოსწავლეთა დისციპლინა და დისციპლუნური სახდელები უნდა რეგულირდებოდეს სკოლის შინაგანაწესით.** მოსწავლეთა წახალისების და პასუხისმგებლობის სახეები **ასახულია დებულებაში, მაგრამ იქაც საჭიროებს გადახედვას;**<br>● შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი - **არ არის ასახული;**<br>● მასწავლებელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი - **არ არის ასახული შინაგანაწესში, თუმცა ნაწილობრვ ასახულია დებულებაში.** დებულებაში განსაზღვრული პუნქტები **შეუსაბამოა** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლის არსებულ პრაქტიკასთან** - კერძოდ მასწავლებელთა მიღების წესი არ არის შესაბამისობაში **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 20 აგვისტოს გამოცემული 174/ნ ბრძანების** პირობებთან და დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან (სკოლაში მასწავლებლების მიღება რეალურად მიმდინარეობს კონკურსის წესით, თუმცა მოქმედი დებულებისა და შინაგანაწესის მიხედვით, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლება დირექტორის უფლება-მოვალეობაა და მისი გადაწყვეტილებით ხორციელდება);<br>● გიმნაზია-პანსიონში სამუშაოდ მიღებისას კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი **არ არის შესაბამისობაში კანონით დადგენილ მოთხოვნებთან:** კერძოდ, ჩამონათვალში არ არის მოთხოვნა ნასამართლეობის ცნობისა და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის ცნობის შესახებ.<br><br>**შინაგანაწესთან მიმართებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ზემოჩამოთვლილი პუნქტები, მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასათან.**<br><br>**მართვის დებულების ცალკეული მუხლები არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლაში არსებულ პრაქტიკასთან:**<br><br>● გიმნაზია-პანსიონის მოსწავლის გარიცხვის წესები - **ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები უნდა განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესში.** გარდა ამისა, პანსიონიდან მოსწავლის გარიცხვის წესში უნდა დაკონკრეტდეს, რომ დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა. აღნიშნული ნორმა ეხება მხოლოდ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.<br><br>● მოსწავლის სტატუსის შეჩერება - **არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესთან** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;**<br>• შეფასების სისტემა, მოსწავლის გაცდენები და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა - **არ არის შესაბამისობაში მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. თუმცა, დაწესებულებას შეფასების სისტემა გაწერილი აქვს 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.** აღნიშნული სფეროს დებულებით რეგულირების საჭიროება არ არსებობს.<br>• მასწავლებელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი - **არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან,** (დეტალურად განმარტებულია შინაგანაწესის აღწერით ნაწილში);<br>**დაწესებულებას** მიეცა **რეკომენდაცია, დებულების დოკუმენტი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან, გადაიხედოს მისი სტრუქტურა და შემადგენელი ქვეთავები (მოსწავლეთა შეფასების, გაცდენების, სკოლიდან გარიცხვის, პედაგოგთა სკოლაში დასაქმების მარეგულირებელი მუხლები), აისახოს პანსიონის გაუქმების შემდგომი ცვლილებები დაწესებულებაში დასაქმებულ ადამიანურ რესურსთან და სკოლის სასწავლო განრიგთან მიმართებაში. შესაბამისობაში მოვიდეს განახლებულ შინაგანაწესთან. გაიმიჯნოს შინაგანაწესისა და დებულების რეგულირების სფეროები.**<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია გადაიხედოს ყველა დებულება/მარგულირებელი წესი და შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის განახლებულ შინაგანაწესთან, დებულებასთან და ვიზიტის განმავლობაში შემუშავებულ "უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებთან".<br>ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს თანამშრომლობითი დამოკიდებულება, მიიღეს ექსპერტეთა რეკომენდაციები და დაიწყეს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დემტკიცებულებები/ინდიკატორებ ი: | 1. შინაგანაწესი;<br>2. დებულება;<br>3. გიმნაზიის "უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები" - პროექტი;<br>4. გიმნაზიის 27.01.2023 წლის N 23-1214 წერილი ყაზბეგის რესურსცენტრის უფროსს "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შეთანხმების შესახებ;<br>5. დაწესებულების წარმომადგენლებთან და იურისტთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიამ წარმოადგინა განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.<br><br>განვითარების ექვსწლიან გეგმაში (2023-2029) დეტალურად არის გაწერილი თითოეული წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები.<br><br>ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს განვითარების გრძელვადიანი გეგმიდან და წარმოადგენს მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი მოქმედებების ჩამონათვალს, რომელიც შეესაბამება გიმნაზია-პანსიონის მისიას, ექვსწლიან სტრატეგიულ მიზნებს, და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად.<br>დაწესებულებამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომლის მიხედვითაც გამოკვეთილია სკოლის განვითარების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. განვითარების ექვსწლიანი გეგმა (2023-2029); |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. განვითარების ექვსწლიანი გეგმა (2017-2023);<br>3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023);<br>4. SWOT ანალიზი. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის წესს, შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვისა და მასზე პასუხის მომზადების წესს, ბრძანებების აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესს, დირექტორის მიერ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს, მოსწავლეთა ჩარიცხვის და ამორიცხვის ბრძანების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს და არქივის მუშაობის წესს.<br><br>ვიზიტის განმავლობაში, საქმისწარმოებისა და ბრძანებების ჟურნალების შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ერთიანი წესით არეგისტრირებდა საკადრო და საერთო ბრძანებებს. ასევე გამოცემული ბრძანებები ამობეჭდილი იყო ერთიანი ჟურნალის სახით, რომელშიც ერთ გვერდზე რამდენიმე ბრძანება იყო განთავსებული.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბრძანებების რეგისტრაცია განახორციელოს საქმისწარმოების წესის მიხედვით; გამოცემული ბრძანებები ამობეჭდოს სკოლის სატიტულო ფურცელზე, შესაბამისი რეკვიზიტების დაცვით.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. გიმნაზიის საქმისწარმოების წესი;<br>2. დოკუმენტბრუნვის ჟურნალები;<br>3. ბრძანებების წიგნი და ანაკინძი;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს სკოლის შინაგანაწესი (2012 წ.) და დებულება (2017 წ.). ორივე დოკუმენტი საჭიროებს განახლებას არსებით საკითხებთან მიმართებაში. მათი შესწავლისას ასევე დგინდება, რომ არ არის ნათლად გამიჯნული თუ რომელ სფეროს არეგულირებს შინაგანაწესი და რომელს - მართვის დებულება. რიგ შემთხვევებში, იკვეთება საკითხების გადაფარვა.<br><br>**გიმნაზიის შინაგანაწესში არ არის ასახული, ან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოა ისეთი საკითხები, როგორებიცაა:**<br>● 06/ნ ბრძანების შესაბამისი "უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" დარღვევისათვის შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები, დარღვევის შედეგების სიმძიმის გათვალისწინებით - **არ არის ასახული;**<br>● მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები - **არ არის ასახული, თუმცა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, მოსწავლეთა დისციპლინა და დისციპლუნრი სახდელები უნდა რეგულირდებოდეს სკოლის შინაგანაწესით.** მოსწავლეთა წახალისების და პასუხისმგებლობის სახეები **ასახულია დებულებაში, მაგრამ იქაც საჭიროებს გადახედვას;**<br>● შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი - **არ არის ასახული;**<br>● მასწავლებელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი - **არ არის ასახული შინაგანაწესში, თუმცა ნაწილობრვ ასახულია დებულებაში.** დებულებაში განსაზღვრული პუნქტები **შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლის არსებულ პრაქტიკასთან** - კერძოდ მასწავლებელთა მიღების წესი არ არის შესაბამისობაში **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 20 აგვისტოს გამოცემული 174/ნ ბრძანების** პირობებთან და დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან (სკოლაში მასწავლებლების მიღება რეალურად მიმდინარეობს კონკურსის წესით, თუმცა მოქმედი დებულებისა და შინაგანაწესის მიხედვით, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მიღება- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გათავისუფლება დირექტორის უფლება-მოვალეობაა და მისი გადაწყვეტილებით ხორციელდება);<br>● გიმნაზია-პანსიონში სამუშაოდ მიღებისას კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი **არ არის შესაბამისობაში კანონით დადგენილ მოთხოვნებთან:** კერძოდ, ჩამონათვალში არ არის მოთხოვნა ნასამართლეობის ცნობისა და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის ცნობის შესახებ.<br><br>**შინაგანაწესთან მიმართებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ზემოჩამოთვლილი პუნქტები, მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასათან.**<br><br>**მართვის დებულების ცალკეული მუხლები არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლაში არსებულ პრაქტიკასთან:**<br><br>● გიმნაზია-პანსიონის მოსწავლის გარიცხვის წესები - **ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები უნდა განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესში.** გარდა ამისა, პანსიონიდან მოსწავლის გარიცხვის წესში უნდა დაკონკრეტდეს, რომ დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა. აღნიშნული ნორმა ეხება მხოლოდ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.<br><br>● მოსწავლის სტატუსის შეჩერება - **არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;**<br><br>● შეფასების სისტემა, მოსწავლის გაცდენები და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა - **არ არის შესაბამისობაში მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. თუმცა, დაწესებულებას შეფასების სისტემა გაწერილი აქვს 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.** აღნიშნული სფეროს დებულებით რეგულირების საჭიროება არ არსებობს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მასწავლებელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი - **არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან** (განმარტებულია შინაგანაწესის აღწერით ნაწილში);<br><br>დაწესებულებას მიეცა **რეკომენდაცია, დებულების დოკუმენტი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან, გადაიხედოს მისი სტრუქტურა და შემადგენელი ქვეთავები (მოსწავლეთა შეფასების, გაცდენების, სკოლიდან გარიცხვის, პედაგოგთა სკოლაში დასაქმების მარეგულირებელი მუხლები), აისახოს პანსიონის გაუქმების შემდგომი ცვლილებები დაწესებულებაში დასაქმებულ ადამიანურ რესურსთან და სკოლის სასწავლო განრიგთან მიმართებაში. შესაბამისობაში მოვიდეს განახლებულ შინაგანაწესთან. გაიმიჯნოს შინაგანაწესისა და დებულების რეგულირების სფეროები.**<br><br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია გადაიხედოს ყველა დებულება/მარგულირებელი წესი და შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის განახლებულ შინაგანაწესთან, დებულებასთან და ვიზიტის განმავლობაში შემუშავებულ "უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებთან".<br><br>ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს თანამშრომლობითი დამოკიდებულება, მიიღეს ექსპერტთა რეკომენდაციები და დაიწყეს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით. |
| **რჩევები:** | **ქვესტანდარტი 2.4:**<br><br>**ამჟამად ოთახში, სადაც მდებარეობს ადაპტირებული საპირფარეშო, განთავსებულია პანსიონის საცხოვრებელი ავეჯი (პანისიონი 2018 წლიდან აღარ ფუნქციონირებს). თუმცა, სველ წერტილამდე მისასვლელი გზა თავისუფალია. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას მიეცა რჩევა, მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი უფრო მარტივად მიღწევად გარემოში, ან უზრუნველყოს ალტერნატიული მისასვლელი აღნიშნულ საპირფარეშოსთან.** |
| **ხარვეზები:** | **ქვესტანდარტი 2.7**<br><br>**სკოლის შინაგანაწესი და დებულება საჭიროებს ცვლილებას - არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში დასაქმებულია შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი.<br><br>დაწესებულების დირექციის წევრები არიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში / იურისტი (ერთი და იგივე პიროვნება), დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე - დღის ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის ხელმძღვანელი / კანცელარიის უფროსი (ერთი და იგივე პიროვნება).<br><br>სკოლის ადმინისტრაციას შეადგენს: გიმნაზიის ექიმი, ექთანი ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, IT მენეჯერი, გაზეთის რედაქტორი, მეცნიერ-თანამშრომელი.<br><br>გიმნაზიის ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენს: უსაფრთხოების მენეჯრი (2), დარაჯი-მნე, დამლაგებელი (3), მზარეული, მძღოლი.<br><br>საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად გიმნაზიაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი, მათ შორის 1 დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პედაგოგი და 1 წრის ხელმძღვანელი. დაწესებულებაში ასევე დასაქმებულია 6 აღმზრდელი გახანგრძლივებული მომსახურების გასაწევად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. პერსონალისა და მასწავლებლების პირადი საქმეები;<br>2. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან და ბუღალტერთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 23 |
| მოწვეული/მაძიებელი | 2 მოწვეული / 2 მაძიებელი |
| პრაქტიკოსი მასწავლებელი | |
| უფროსი მასწავლებელი | 16 |
| წამყვანი მასწავლებელი | |
| მენტორის სტატუსი | |

**შენიშვნა:** დაწესებულებაში ასევე დასაქმებულია 1 მასწავლებელი სტატუსის გარეშე, 1 დამატებით სავალდებულო საგნის პედაგოგი, 1 წრის ხელმძღვანელი (უფროსის სტატუსით).

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიის პედაგოგები შერჩეულნი არიან კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br><br>დაწესებულებაში დასაქმებულია 16 უფროსი, 2 მაძიებელი და 2 მოწვეული მასწავლებელი. 1 პედაგოგს არ აქვს სტატუსი. 1 პირი დამატებითი სავალდებულო საგნის პედაგოგია, ხოლო 1 წრის მასწავლებელი (აღნიშნულ პირს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი).<br><br>გიმნაზიამ წარმოადგინა პედაგოგთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია .<br><br>აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიგ საგნებში (მაგ.: ქიმია და ფიზიკა) დაწესებულებამ არაერთხელ გამოქვეყნა კონკურსი, თუმცა რეგიონში |

| | |
|---|---|
| | არსებული კადრების დეფიციტის გამო, დაფიქსირდა ძალზე დაბალი მომართვიანობა. აქედან გამომდინარე, გიმნაზიამ ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლების თანამდებობაზე დაასაქმა პედაგოგები შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების საფუძველზე და გააფორმა მათთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება. აღნიშნულ მასწავლებლებს უფიქსირდებათ 10 საათი, ნაცვლად კანონდმდებლობით გათვალისწინებული 9 საათისა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამ ეტაპზე, შესაბამისი კადრის მოძიება ფიზიკურად შეუძლებელია, ვინაიდან სკოლის ადმინისტრაციის ამ მიმართულებით მუშაობა წლების მანძილზე უშედეგოდ გრძელდება. შესაბამისად, **დაწესებულებას მიეცა რჩევა აღნიშნულ პედაგოგებთან გაფორმდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 20 აგვისტოს გამოცემულ 174/ნ ბრძანების N 13 მუხლის შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირებს დაევალებათ საგნის კომპეტენციის დადასტურება და/ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა.**<br><br>დაწესებულების პედაგოგებს და თანამშრომლებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ნასამართლეობის ცნობა და ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის შესახებ. აღნიშნული არ რეგულირდებოდა სკოლის შინაგანაწესით, რომლის შესახებაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2.7 ქვესტანდარტში.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოსთხოვს მასწვლებლებსა და თანამშრომლებს, დროულად წარმოადგინონ ნასამართლეობისა და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის ცნობები. ვიზიტის განმავლობაში, დაწესებულების პედაგოგებისა და თანამშრომლების ნაწილმა მიმართა შესაბამის უწყებას აღნიშნული ცნობების მისაღებად. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცნობების წარდგენა განხორციელდება ყველა პედაგოგისა და თანამშრომლის მიერ, უახლოეს მომავალში.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. გიმნაზიის საშტატო განრიგი;<br>2. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _______________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _______________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>4. კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>5. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის დებულების მე-11 მუხლში განსაზღვრულია თანამშრომელთა დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების წესები, ხოლო მე-14 და მე-15 მუხლებში დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე მექანიზმები. გიმნაზია-პანსიონში დასაქმებული პირის მიმართ, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობები სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შეასრულა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წახალისების სახეები: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; პრემიის მიცემა; თანამდებობრივად დაწინაურება/წახალისება; დებულების თანახმად, დისციპლინარული გადაცდომების დროს გიმნაზია- პანსიონი იყენებს მართლზომიერ, გონივრულ სახდელებს. გაწერილია დისციპლინარული სახდელის დაკისრების საფუძვლები და რეაგირების მექანიზმი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელსაც ქმნის გიმნაზიის რექტორი დირექციის წევრებისაგან. კომიტეტის ფუნქციას წარმოადგენს პანსიონის სისტემაში ნებისმიერი რგოლის ან დასაქმებული პირის საქმიანობის შემოწმება დისციპლინური დარღვევის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების, მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსით, მოსწავლის ქცევის კოდექსით განსაზღვრული ქცევის წესების დარღვევის, აგრეთვე სხვა არსებული პრობლემის ან ნაკლოვანების გამოვლენის მიზნით;<br><br>სამსახურებრივი/დისციპლინური შემოწმების საფუძვლებია:<br>● გიმნაზია-პანსიონში შემოსული განცხადება / საჩივარი ან ოფიციალურად მიღებული სხვა ინფორმაცია, რომელშიც იკვეთება დარღვევის ფაქტი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ● გიმნაზია-პანსიონის დირექტორის დავალება;<br><br>შემოწმების დაწყებიდან 1 თვის ვადაში დისციპლინური კომიტეტი დირექტორს წარუდგენს დასკვნას.<br><br>დირქტორი იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინარული სახდელის დაკისრების შესახებ. დებულების მე-17 მუხლი აღწერს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს.<br><br>დაწესებულებაში პედგოგების დასაქმება ხორციელდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 20 აგვისტოს გამოცემულ 174/ნ ბრძანების** მოთხოვნებთან შესაბამისად. ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა ინტერნეტ სივრცეში არსებული დასაქმების ვებგვერდი teachersjobs.ge, გამოცემული ბრძანებები საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და საკონკურსო ოქმები. აღსანიშნავია, რომ **გიმნაზიის მართვის დებულებასა და შინაგანაწესში გაწერილი წესი მასწავლებლების დასაქმების შესახებ არ არის შესაბამისობაში სკოლის არსებულ პრაქტიკასთან** - კერძოდ, მოქმედი დებულებისა და შინაგანაწესის ჩანაწერის მიხედვით, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლება დირექტორის უფლება-მოვალეობაა და მისი გადაწყვეტილებით ხორციელდება.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლების შერჩევისა და სამსახურში მიღების წესი შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლაში არსებულ პრაქტიკასთან.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. გიმნაზია პანსიონის მართვის დებულება;<br>2. დასაქმების ვებგვერდი teachersjobs.ge;<br>3. დირექტორის ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;<br>4. საკონკურსო კომისიის ოქმები ;<br>5. გასაუბრება მასწავლებლებთან;<br>6. გასაუბრება გიმნაზია-პანსიონის დირექციის წევრებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის მასწავლებლებთან და პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. პედაგოგებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (აღნიშნული დადასტურდა ხელშეკრულებების ადგილზე დათვალიერებით).<br><br>აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებებში გაწერილია ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ხოლო რაოდენობა არ არის დაფიქსირებული არც თავად ხელშეკრულებაში და არც რაიმე სხვა სახის დანართში. ყოველთვიური ანაზღაურების გაცემისას ბუღალტერი სარგებლობს თანამშრომელთა საათობრივი ტარიფიკაციით.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შრომით ხელშეკრულებებში დააფიქსიროს თანამდებობრივი სარგო.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. გიმნაზიის საშტატო განრიგი;<br>2. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool;<br>3. მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან და ბუღალტერთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონში შემუშავებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. მასში გაწერილია საქმიანობის მიზნები, ამოცანები.<br><br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზანია:<br>● მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ● თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვა, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის მისიისა და მის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.<br>დასახული მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია გეგმის განხორციელების მუდმივი შეფასება, განხორციელებული აქტივობების, მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასება და ანალიზი.<br><br>სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს აღნიშნული მექანიზმის დანერგვა-განხორციელება. შემუშავებულია “ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია - პანსიონის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება” , რომლის მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.<br><br>ხარისხის მართვის მენეჯრთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა განვითარდეს, შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს სკოლის ადამიანური რესურსის განვითარებას, თუმცა თავად დაწესებულება და ადმინისტრაციაც საჭიროებს მეტ მხარდაჭერას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი არიან ორიენტირებულნი თვითგანვითარებაზე, თუმცა მათი აზრითაც, სასურველია მეტი მხარდაჭერა მიიღონ ტრენინგების მიმართულებით. სკოლის დირექტორი, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, მხარს უჭერს თანამშრომლების პროფესიულ ზრდას და ცდილობს უზრუნველყოს სკოლის ინფორმირება განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ. დირექტორისა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მასწავლებელბს მიეცათ შესაძლებლობა, მომზადებულიყვნენ სტატუსის ამაღლების მიზნით ორგანიზებული საგამოცდო სესიებისთვის.<br>შეჯამებისთვის, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები და ცდილობს ამ მექანიზმების ეფექტიანობის ზრდას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები.<br>2. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება;<br>3. ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან<br>4. მასწავლებლებთან გასაუბრება |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა ზრუნავს დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შესაქმნელად. გუნდურობა, მაღალი თანამშრომლობითი კულტურა ქმნის დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობის განცდას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას. მშობლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სკოლა თემში სარგებლობს ნდობითა და ავტორიტეტით. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის შექმნილია გარემო შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენისათვის. სწორად დელეგირებული ფუნქციები ზრდის თანამშრომელთა ეფექტურობასა და საქმიანობის ხარისხს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ინტერვიუ მშობლებთან;<br>2. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>3. ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>4. გასაუბრება ადმინისტრაციასთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რჩევები:** | **3.2.**<br>**დაწესებულებას მიეცა რჩევა 2 პედაგოგთან გაფორმდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 20 აგვისტოს გამოცემულ 174/ნ ბრძანების N 13 მუხლის შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირებს დაევალებათ საგნის კომპეტენციის დადასტურება და/ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა.** |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 14.03.2023

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 56



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.